



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კოკელაძე გრიგოლ ირაკლის ძე



გ. კოკელაძე

კოკელაძე გრიგოლ ირაკლის ძე (2. V. 1904, სოფ. პატრიკეთი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, - 24. I. 1988, თბილისი), კომპოზიტორი, ქართული ხალხური სიმღერების შემკრები, პედაგოგი. საქართვე. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946). საქართვე. სახ. არტისტი (1982). 1937 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ვ. შჩერბაჩოვისა და ი. ტუსკიას საკომპოზიციო კლასები). პედ. მოღვაწეობა დაიწყო 1928. 1937-41 იყო ხალხ. შემოქმედების რესპ. სახლის დირექტორი, 1941-48 - საქართვე. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის ხელმძღვანელი, 1954-55 - საქართვე. ფილარმონიის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, 1950-52 - საქართვე. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე, 1956-58 - I სამუს. სასწავლებლის დირექტორი, 1958-59 - კულტ. სამინისტროს მუს. დანესებულებათა განყ-ბის უფროსი.

კ.-ს ეკუთვნის საგუნდო და საფორტეპიანო ნაწარმოებები, კანტატები, სიმღერები. მან შეკრიბა, ჩაწერა და ნოტებზე გადაიტანა 2000-მდე ქართ. ხალხ. სიმღერა; მუს. ფონდმა გამოსცა მის მიერ ჩაწერილი „50 ქართული ხალხური სიმღერა“ (1979), „25 ქართული ხალხური სიმღერა“ (1985) და სხვ. ავტორია წიგნისა „ქართული ცეკვების ხალხურობა და მათი მუსიკალური თანხლება“ (1977).

დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლით (1984).

ლიტ.: ტ ო რ ა ძ ე გ., კ ო კ ე ლ ა ძ ე გ., მუსიკალურ სამყაროში, თბ., 2010.

---